მერკანტილისტები და ფიზიოკრატები — რომელი უკეთ გამოხატავდა XVIII საუკუნის საზოგადოების ინტერესებს

XVIII საუკუნე ევროპის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდი იყო. ამ ეპოქაში იცვლებოდა ეკონომიკური ურთიერთობები, სოციალური სტრუქტურა და ადამიანთა მსოფლმხედველობა. სწორედ ამ ცვლილებების ფონზე ჩამოყალიბდა ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიმდინარეობა — მერკანტილიზმი და ფიზიოკრატია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე თეორია ცდილობდა სახელმწიფოს გაძლიერებას, XVIII საუკუნის საზოგადოების ინტერესებს უფრო სრულად ფიზიოკრატები გამოხატავდნენ.

მერკანტილიზმი წარმოიშვა უფრო ადრე და მისი მთავარი იდეა იყო, რომ ქვეყნის სიმდიდრე განისაზღვრება ძვირფასი ლითონების — ოქროსა და ვერცხლის — რაოდენობით. მერკანტილისტები მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს ძლიერ ჩარევას ეკონომიკაში, ექსპორტის წახალისებას და იმპორტის შეზღუდვას. მათი ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას და სახელმწიფო ხაზინის შევსებას, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებდა საზოგადოების ფართო ფენების ინტერესებს. XVIII საუკუნეში, როდესაც საზოგადოებაში იზრდებოდა სოციალური უთანასწორობა და გლეხობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მერკანტილიზმი უფრო მეტად ემსახურებოდა მონარქიისა და ვაჭართა ფენის ინტერესებს, ვიდრე მთელი საზოგადოების კეთილდღეობას.

ფიზიოკრატია XVIII საუკუნეში, საფრანგეთში ჩამოყალიბდა და მჭიდროდ უკავშირდებოდა განმანათლებლობის იდეებს. ფიზიოკრატების აზრით, სიმდიდრის მთავარი წყარო მიწა და სოფლის მეურნეობა იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკა უნდა ემართა ბუნებრივი კანონების მიხედვით და სახელმწიფოს ჩარევა მინიმალური უნდა ყოფილიყო. ფიზიოკრატები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ გლეხობის მდგომარეობას და მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოების კეთილდღეობა სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე იყო დამოკიდებული.

ფიზიოკრატების იდეები უკეთ პასუხობდა XVIII საუკუნის საზოგადოების მოთხოვნებს, რადგან ისინი ცდილობდნენ ეკონომიკური სისტემის გამარტივებას, სოციალური უსამართლობის შემცირებას და ბუნებრივი წესრიგის დამკვიდრებას. მათი შეხედულებები ასახავდა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების ფართო ფენების ინტერესებს და საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური თავისუფლების იდეას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, მერკანტილიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახელმწიფოს გაძლიერებაში, XVIII საუკუნის საზოგადოების ინტერესებსა და განვითარების საჭიროებებს უფრო სრულად და პროგრესულად ფიზიოკრატები გამოხატავდნენ.

ნინი ქუმარიტოვი